


2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

- 1.1 შპს „ბოს შელფ (საქართველო)“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2018 წლის 16 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404555227, იურიდიული მისამართი - ქ.თბილისი, კრწანისის რაიონი, კოტე აფხაზის ქუჩა N 44. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2018 წლის 16 მარტიდან.
- 1.2 კომპანიის წილის მფლობელია: 100%-ის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება STAR GULF FZCO, 00181, 30.05.2001
- 1.3 კომპანიის დირექტორია ილჰამ ემინბეილი, CO1900882 /აზერბაიჯანი/.
- 1.4 კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროა ლოჯისტიკური მხარდაჭერის განხორციელება, რაც მოიცავს ლოჯისტიკური ჰაბების დაარსებას და მართვას, ნავთობის, გაზის და სამშენებლო ინდუსტრიისთვის ყველა სახის მხარდაჭერის განხორციელებას.
- 1.5 წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

- 2.1 კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.
- 2.2 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდში.
- 2.3 გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.
- 2.4 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.
- 2.5 კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე)



2.6 კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები დაგაიგვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგება ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულებების სახით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები


ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების აღრიცხვისთვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო მომსახურების ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით შემდეგი საექსპლუატაციო ვადის გათვალისწინებით:



ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7 გადასახადები

შპს ბოს შელფ (საქართველო) წარმოადგენს საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის, ბაქო-სუფსის მილსადენის და სამხრეთ კავკასიის მილსადენის პროექტების კონტრაქტორს. ხელშეკრულების შესაბამისად აღნიშნული პროექტების საქმიანობასთან დაკავშირებით სარგებლობს დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საგადასახადო შეღავათებით.

2.8 წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9 გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისთვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,7020 ლარი.



3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1 ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარებით
ნაღდი ფული საღაროში		0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	799175,05	366534
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	3859289	2789755
სულ:	4658464,05	3156289

3.2 სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარებით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	356906	757463
სულ:	356906	757463

3.3 სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარებით
სხვა მიმდინარე აქტივები	45566	0
სულ:	45566	0

3.4 ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარებით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2023 მდგომარებით
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	8456,42	0	6731,44	1724,98
ავეჯი და სხვა ინვენტარი	128,06	0	96,05	32,01
არამატერ.აქტივი- ბალანსი		1851,5	138,86	1712,64
სულ:	8584,48		6827,49	3469,63

8456,42

6731,44

3.5 სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარებით
დავალიანება მიმწოდებლების მიმართ	38671	75938
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ:	38671	75938

3.6 საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარებით
გაუნაწილებელი მოგება	2445791	1159181
სულ:	2445791	1159181

3.7 ნეტო ამონაგები და რელიზებული საქონლის თვითღირებულება:

2023 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა სასაწყობე მომსახურებიდან.

	2023 წელი
მომსახურების გაწევა	3168210
სხვა შემოსავალი	0
სულ:	3168210

3.8 სხვა შემოსავლები და საერთო ადმინისტრაციული ხარჯები:

სხვა ხარჯების დასახელება	2023 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	1487581
ცვეთა და ამორტიზაცია	6827,16
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი)	0

იჯარის ხარჯები		216719
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		264081
სულ:		1975208,16

3.9 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 11 სექტემბერს



ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4658464	3156289	2472508
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	356906	757463	685936
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	111	0	386
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	3470	12243	25680
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	45566	0	0
სულ აქტივები	5064517	3925995	3184510
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	38671	75938	23116
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	28559	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2541496	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	37836	0
სულ ვალდებულებები	2608726	113774	23116
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	10000	2551496	2653040
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2445791	1159181	508354
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	101544	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2455791	3812221	3161394
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5064517	3925995	3184510
სულ მოკლევადიანი აქტივები	5064517	3925995	3184510
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5064517	3925995	3184510

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	3168210	3473137
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	3168210	3473137
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	3168210	3473137
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	301919
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1487581	-1455902
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-6827	-13436
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-216719	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-264081	-1654891
სულ საოპერაციო ხარჯები	-1975208	-2822310
საოპერაციო მოგება	1193002	650827
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1193002	650827
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1193002	650827
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1193002	650827
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3812221	3161394
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-2549432	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2455791	3812221

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1502175	683781
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	1502175	683781
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3156289	2472508
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4658464	3156289

